საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/781
09/02/2023

781-21-2-202302091207

ფ/პ ზურაბ ჩიტორელიძეს
მის: ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. კურსები
ელ. ფოსტა: zurab.chitorelidze@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის №215 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფ. კურსებში სასარგებლო წიაღისეულის (ტეშენიტის ქვა) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან 10 მეტრში მიედინება ზედაპირული წყლის ობიექტი - ღელე იდუმალას წყალი, შესაბამისად სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საქმიანობის შედეგად აღნიშნულ ზედაპირული წყლის ობიექტზე ზემოქმედების შესახებ;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეებისა და დაგეგმილი საქმიანობის შედეგად (როგორც მოწყობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე) მათზე შესაძლო ზემოქმედების თაობაზე;
- სკრინინგის განცხადებაში, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასების ნაწილში ტეშენიტის გარდა მითითებულია ასევე კირქვის მსხვრევა და დახარისხება, რაც არ არის განხილული სკრინინგის განცხადებაში, შესაბამისად აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტში მოცემულია მოსალოდნელი ხმაურის დონეების გაანგარიშების შედეგები, რომლის თანახმადაც უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ხმაურის დონე 48,88 დბა-ს შეადგენს, რაც არ არის შესაბამისობაში „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებასთან, შესაბამისად

სკრინინგის განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;

- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან 100 მეტრის რადიუსში განთავსებულია საცხოვრებელი სახლები, შესაბამისად სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას აღნიშნული საცხოვრებელი სახლების (საპროექტო ტერიტორიიდან დაშორების მანძილების მითითებით) მესაკუთრეებთან კომუნიკაციისა და საქმიანობის განხორციელებაზე მათი თანხმობის შესახებ;
- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს საპროექტო ტერიტორიიდან 500 მეტრიან რადიუსში ფუნქციონირებს სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოები, შესაბამისად დოკუმენტი უნდა მოიცავდეს სრულყოფილ ინფორმაციას არსებული საწარმოო ობიექტებისა და მათი ფუნქციური დანიშნულების შესახებ, აგრეთვე, საწარმოების ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ, უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო